

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის  
ოქმი №2

ქ. აბაშა, 2019 წლის 15 მარტი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა  
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-  
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, ზაზა გაბელაია, კოკი ჩაჩავა  
და მერაბ მელია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: შოთა ჭანტურაია, ბენია პიტავა და ზურაბ  
შუბლაძე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ  
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის  
ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება  
თანხმობის მიცემის შესახებ“ .

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს ( მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

## მოისმინეს :

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება თანხმობის მიცემის შესახებ“ .

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება თანხმობის მიცემის შესახებ“

აზრი გამოთქვეს: ე.ნოდიაშვილი, კ.ჩაჩავაძე და მ.მელიაშვილი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

## დაადგინა:

განკარგულების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება თანხმობის მიცემის შესახებ“ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა